განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

MES 5 23 0001074517

ელექტრონული
ზზსამეხსმეიპ
ელექტრონულად

04/09/2023

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას
შპს - თბილისის თავისუფალს უნივერსიტეტს
შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტს
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ იუნესკოდან შემოვიდა ინფორმაცია კონკურსის "2023 Future Designer International Innovation Design Awards (IIDA) & Science for SDGs Innovation Contest" შესახებ, რომელიც იმართება იუნესკოს ახალგაზრდების კომპეტენციების განვითარების პროექტის ფარგლებში (NESCO YCD project).

IIDA კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ნიჭიერი ახალგაზრდების მიერ ინოვაციური იდეების/განაცხადების წარმოდგენას. კონკურსის ფარგლებში, ძირითადი აქცენტი გაკეთდება მეცნიერების მნიშვნელობაზე გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. განაცხადების თემებია: მედია დიზაინი, პროდუქციის დიზაინი, გარემოს დიზაინი, ხელოვნება და დიზაინი (media design, product design, environmental design, and art & science).

ღია კონკურსი გათვალისწინებულია კოლეჯების და უნივერსიტეტების საბაკალავრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის. განაცხადები მიიღება 2023 წლის 30 სექტემბრამდე. გამარჯვებულები გამოცხადდებიან 2023 წლის 31 ოქტომბერს და გადაეცემათ სერთიფიკატები. დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ მიბმული ფაილი და ბმული:

https://articles.unesco.org/en/articles/call-entries-future-designer-international-innovation-design-awards-iida-science-sdgs-innovation

ზემოაღნიშნული ინფორმაციით დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გაავრცელოთ თქვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დანართი: 1 ფაილი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი განათლების განვითარების
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო